

შპს „ბაგირა“-ს  
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

## სარჩევი

83

- |                                                                          |    |
|--------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიში                                       | 3  |
| 2. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | 7  |
| 3. ბუღალტრული შეფასებები                                                 | 18 |

**შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბერისათვის**

ლარი

|                                                         | შენიშვნა | 2023               | 2022               | 2021               |
|---------------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|--------------------|
| საპროცენტი შემოსავალი                                   | 10       | 1 524 827          | 1 634 410          | 1 548 894          |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                              | 10       | 15 591             | 89 621             | 47 532             |
| <b>საოპერაციო შემოსავალი</b>                            |          | <b>1 540 418</b>   | <b>1 724 031</b>   | <b>1 596 426</b>   |
| ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი                                | 12-13    | (34 496)           | (34 141 )          | (33 093)           |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                | 17       | (364 973)          | (339 336)          | (310 571)          |
| საპროცენტი ხარჯი                                        |          | (688 348)          | (723 770)          | (669 895)          |
| იჯარის ხარჯი                                            | 16       | (37 149)           | (57 107)           | (51 366)           |
| ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი                           |          | (174 393)          | (125 357)          | (152 744)          |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯი</b>                             |          | <b>(1 299 359)</b> | <b>(1 279 711)</b> | <b>(1 217 669)</b> |
| შემოსავალი/ხარჯი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან       | 11       | 28 814             | 89 369             | 20 113             |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                           | 11       | 250                | 3049               | 10 022             |
| არასაოპერაციო ხარჯი                                     | 17       | (2 549)            | (200)              | (33 250)           |
| საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი                       |          | 267 574            | 536 538            | 375 642            |
| მოგების გადასახადის ხარჯი                               |          | (40 136)           | (80 481)           | (56 346)           |
|                                                         |          | 227 438            | 456 057            | 319 296            |
| მიმდინარე წლის მოგება                                   |          |                    |                    |                    |
| გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში                    |          | 1 746 875          | 2 126 511          | 1 807 215          |
|                                                         |          | (230 684)          | (836 132)          | 0                  |
| გაცემული დივიდენდები                                    |          |                    |                    |                    |
| ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                        |          | 0                  | 439                | 0                  |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში</b> |          | <b>1 743 629</b>   | <b>1 746 875</b>   | <b>2 126 511</b>   |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრი

| ლარი                                                             | შენიშვნები | 2023 წელი        | 2022 წელი        | 2021 წელი        |
|------------------------------------------------------------------|------------|------------------|------------------|------------------|
| <i>მიმდინარე აქტივები</i>                                        |            |                  |                  |                  |
| ფულადი სახსრები                                                  | 15         | 127 144          | 180 082          | 348 702          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები<br>(დარიცხული მისაღები<br>პროცენტები) | 14         | 201 928          | 257 631          | 267 323          |
| გადახდილი ავანსები                                               | 14         | 751              | 698              | 10 395           |
| წინასწარ გადახდილი ბიუჯეტის<br>გადასახადი                        |            | 80 421           | -                | 24 576           |
| სასაქონლო-მატერიალური<br>ფასეულობები                             | 13         | 3 510            | 58 994           | 1 042            |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                          |            | 55 411           | 45 966           | 28 260           |
| <i>სულ მიმდინარე აქტივები</i>                                    |            | <u>469 165</u>   | <u>543 371</u>   | <u>680 298</u>   |
| <i>გრძელვადიანი აქტივები</i>                                     |            |                  |                  |                  |
| შენობა-ნაგებობები                                                | 11         | 122 824          | 141 160          | 159 496          |
| ოფისის აღჭურვილობა                                               | 11         | 8 213            | 9 032            | 13 118           |
| ავეჯი და ინვენტარი                                               | 11         | 4 916            | 1 816            | 4 649            |
| სატრანსპორტო საშუალებები                                         | 11         | 2 084            | 2 605            | 4 616            |
| იჯარით აღებული შენობის<br>კეთილმოწყობა                           |            | -                | -                | -                |
| დაუმთავრებელი მშენებლობა                                         | 13         | -                | -                | 4 475            |
| არამატერიალური აქტივები                                          | 12         | 4 850            | 3 875            | -                |
| გაცემული სესხები                                                 | 14         | 6 216 745        | 6 315 750        | 6 350 470        |
| <i>სულ გრძელვადიანი აქტივები</i>                                 |            | <u>6 359 632</u> | <u>6 474 238</u> | <u>6 536 824</u> |
| <i>სულ აქტივები</i>                                              |            | <u>6 828 797</u> | <u>7 017 609</u> | <u>7 217 122</u> |



ვალდებულებები და კაპიტალი

|                                                      |    |                  |                  |                  |
|------------------------------------------------------|----|------------------|------------------|------------------|
| საიჯარო ვალდებულებები                                |    | 2 509            | 2 509            | 1 228            |
| ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან          |    | 2 424            | 6 997            | 2 692            |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                      | 16 | 5 036 132        | 5 168 449        | 5 029 806        |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები (დამფუძნებლის სესხი) | 16 | 31 163           | 92 779           | 56 885           |
| სხვა ვალდებულებები                                   |    | 12 940           | -                | -                |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                             |    | <b>5 085 168</b> | <b>5 270 734</b> | <b>5 090 611</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                             |    |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                                   |    | 200              | 200              | 200              |
| გადაფასების რეზერვი                                  |    | -                | -                | -                |
| გაუნაწილებელი მოგება                                 |    | 1 515 991        | 1 290 618        | 1 750 669        |
| საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი                    |    | 227 438          | 456 057          | 375 642          |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                         |    | <b>1 743 629</b> | <b>1 746 875</b> | <b>2 126 511</b> |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>                     |    | <b>6 828 797</b> | <b>7 017 609</b> | <b>7 217 122</b> |

ზურაბ წითელაძე  
დირექტორი

ნინო იოსავა  
ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 6-21 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2023წ. 31 დეკემბრისათვის**

**1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია**

შპს „ბაგირა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2007 წლის 11 აპრილს, რეგისტრაციის ნომერი N BI0076575. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქუჩა N 22. შპს „ბაგირა“-ს ძირითად საქმიანობას შეადგენს სესხების გაცემა. 2019 წლის 25 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის განკარგულების თანახმად შპს „ბაგირა“ რეგისტრირებულ იქნა სესხის გამცემ სუბიექტად და მიენიჭა სარეგისტრაციო ნომერი სგს-0220116.

**2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა და ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

**2.1. შემოსავლების აღიარება**

შპს შემოსავლებს აღიარებს ფასს 15-ის მოთხოვნის შესაბამისად. კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული და /ან მისაღები შემოსავლების რეალური ღირებულებით.

**2.2 ბანკის სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

ბანკის სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იქნა გაწეული.

## 2.3 მოგების გასახადი

კომპანია არის მოგების გადასახადის გადამხდელი. კომპანიის დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტიანი განაკვეთით .

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით, გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის.

## 2.4 ძირითადი საშუალებები

შემენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით . თვითღირებულება შემენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. მომსახურების და ადმინისტრაციული მიზნებისათვის გამოყენებული შენობა, ოფისის აღჭურვილობა , სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები აღირიცხება საერთო წესით, ხოლო საგადასახადო მიზნებისათვის ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

ძირითადი საშუალებების შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გამხორციელებისთანავე .

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა , რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა , ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

|                          |              |
|--------------------------|--------------|
| შენობა                   | 5 პროცენტი;  |
| ოფისის აღჭურვილობა       | 20 პროცენტი; |
| ავეჯი და ინვენტარი       | 20 პროცენტი; |
| სატრანსპორტო საშუალებები | 20 პროცენტი; |
| ოფისის აღჭურვილობა       | 20 პროცენტი; |

## 2.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, ცალკეული არამატერიალური აქტივის პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება სასარგებლო მომსახურების 5 წლიანი ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

## 2.6 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში კომპანიას აქვს 4 ობიექტი. გადასახდელი საიჯარო გასახადები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

## 2.7 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## 2.8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

კომპანიის ბალანსზე რიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ძირითადად გათვალისწინებულია საწარმოო მოხმარებისათვის. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მონტაჟთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

## 2.9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე მოთხოვნები აღიარებულია რეალური ღირებულებით. რადგანაც აღნიშნული კომპანია წარმოადგენს სესხის გამცემ სუბიექტს, ფინანსური ოპერაციების განხორციელებით წარმოიქმნება შესაბამისი მოთხოვნა. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღრიცხავს საანგარიშო პერიოდში გამომუშავებულ საპროცენტო შემოსავალს. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ისინი ძირითადად დაკავშირებულია სესხების გაცემასთან როგორცაა გაცემულ სესხებზე მისაღები პროცენტები. სხვა მოთხოვნები წარმოიქმნება კომპანიის პერსონალის მიმართ და მოთხოვნები კომპანიის ხელმძღვანელის მიმართ.

## 2.10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ფულადი სახსრების გადაფასება ხდება წლის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც ასახვას პოვნებს მოგება-ზარალის უწყისში.

## 2.11. ფინანსური აქტივები შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური აქტივები შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით, მოიცავს აქტივებს, რომელთაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში.

## 2.12. ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ბანკის სესხების, დამფუძნებლის სესხების ს და სხვა ვალდებულებების სხით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

## 2.13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარებულია რეალური ღირებულებით. მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში.

## 2.14. კაპიტალი

საწარმოს დამფუძნებელი არის საზოგადოების საწესდებო კაპიტალში 100% –იანი წილის მესაკუთრე–ზურაბ წითელაძე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია საწარმოს კაპიტალში მისი დამფუძნებლის ფაქტობრივი შენატანის მიხედვით.

## 3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

### 3.1 ამონაგები

|                            | 2023 წელი | 2022 წელი | 2021 წელი |
|----------------------------|-----------|-----------|-----------|
| საპროცენტო შემოსავალი      | 1 524 827 | 1 634 410 | 1 548 894 |
| შემოსავალი ჯარიმებიდან     | 6 623     | 3 958     | 9 185     |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 8 968     | 85 663    | 38 347    |
|                            | 1 540 418 | 1 724 031 | 1 596 426 |

სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს გასული წლის ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავალს– ეს წინა წლებში ჩამოწერილი სესხების ამოღების შედეგად მიღებული შემოსავალია.

### 3.2 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს ასევე ძირითადი საშუალებების გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალს და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან და საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებს , ასევე კლიენტების მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს (ცნობების გაცემა)

ლარი

|                                               | 2023 წელი | 2022 წელი | 2021 წელი |
|-----------------------------------------------|-----------|-----------|-----------|
| შემოსავალი/ხარჯი<br>სავალუტო<br>ოპერაციებიდან | 28 814    | 89 369    | 20 113    |
| არასაოპერაციო<br>შემოსავალი                   | 250       | 3 049     | 10 022    |
|                                               | 29 064    | 92 418    | 30 135    |

### 3.3. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში

ცხრილი 1

ლარი

| N | ძირითადი საშუალების დასახელება | ძირითადი საშუალებების საბალანსო<br>ღირებულება |         |         |
|---|--------------------------------|-----------------------------------------------|---------|---------|
|   |                                | 2023                                          | 2022    | 2021    |
| 1 | 2                              | 3                                             | 4       | 5       |
| 1 | შენობა                         | 122 824                                       | 141 160 | 159 496 |
| 2 | ოფისის აღჭურვილობა             | 8 213                                         | 9 032   | 13 118  |
| 3 | ავეჯი და ინვენტარი             | 4 916                                         | 1 816   | 4 649   |
| 4 | სატრანსპორტო საშუალებები       | 2 084                                         | 2 605   | 4 616   |
|   | ჯ ა მ ი                        | 138 037                                       | 154 613 | 181 879 |

### 3.4. ძირითადი საშუალებები

ცხრილი 2

ლარი

|  | შენობა -<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა,<br>ავეჯი და<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | მიწა | სულ |
|--|------------------------|-------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------|------|-----|
|--|------------------------|-------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------|------|-----|



|                        |         |   |        |        |   |         |
|------------------------|---------|---|--------|--------|---|---------|
| 2020 წლის 31 დეკემბერი | 177 831 | - | 28 385 | 16 393 | - | 222 609 |
| 2021 წლის ცვეთა        | 18 335  | - | 12 610 | 1 253  | - | 32 198  |
| შემოსავალი             | -       | - | 1 991  | -      | - | 1 991   |
| გასავალი               | -       | - | -      | 10 523 | - | 10 523  |
| 2021 წლის 31 დეკემბერი | 159 496 | - | 17 766 | 4 617  | - | 181 879 |
| 2022 წლის ცვეთა        | 18 336  | - | 13 168 | 2 012  | - | 33 516  |
| შემოსავალი             | -       | - | 6 250  | -      | - | 6 250   |
| გასავალი               | -       | - | -      | -      | - | -       |
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 141 160 | - | 10 848 | 2 605  | - | 154 613 |
| 2023 წლის ცვეთა        | 18 335  | - | 15 115 | 521    | - | 33 971  |
| შემოსავალი             | -       | - | 17 395 | -      | - | 17 395  |
| გასავალი               | -       | - | -      | -      | - | -       |
| 2023 წლის დეკემბერი    | 122 825 | - | 13 128 | 2 084  | - | 138 037 |

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოში რიცხული ძირითადი საშუალებები გამოყენებულია საწარმოს საქმიანობისათვის.

### 3.5 არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა:

ლარი

თვითღირებულება

1 იანვარი, 2022 წ.

0

შემოსავალი

4 500

გასავალი

0

31 დეკემბერი 2022 წელი

4 500

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

1 იანვარი, 2022 წ. წლიური ამორტიზაცია

0

წლიური ამორტიზაცია

31 დეკემბერი, 2022 წელი

(ჩართულია ცვეთის ხარჯებში)

625

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი, 2022 წ.

3 875



თვითღირებულება

|                                       |       |
|---------------------------------------|-------|
| 1 იანვარი, 2023 წ.                    | 4 500 |
| შემოსავალი                            | 1 500 |
| გასავალი                              | 0     |
| 31 დეკემბერი 2023 წელი                | 6 000 |
| დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება        |       |
| 1 იანვარი, 2023 წ. წლიური ამორტიზაცია | 1 150 |

წლიური ამორტიზაცია

|                                                       |     |
|-------------------------------------------------------|-----|
| 31 დეკემბერი, 2022 წელი<br>(ჩართულია ცვეთის ხარჯებში) | 525 |
|-------------------------------------------------------|-----|

საბალანსო ღირებულება

|                         |       |
|-------------------------|-------|
| 31 დეკემბერი, 2023 წელი | 4 850 |
|-------------------------|-------|

3.6 დაუმთავრებელი მშენებლობა

თვითღირებულება

|                        |        |
|------------------------|--------|
| 1 იანვარი, 2021 წ.     | 10 000 |
| შემოსავალი             | 0      |
| გასავალი               | 0      |
| 31 დეკემბერი 2021 წელი | 10 000 |

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

|                                       |       |
|---------------------------------------|-------|
| 1 იანვარი, 2023 წ. წლიური ამორტიზაცია | 9 105 |
|---------------------------------------|-------|

წლიური ამორტიზაცია

|                          |     |
|--------------------------|-----|
| (ჩართულია ცვეთის ხარჯში) | 895 |
|--------------------------|-----|

საბალანსო ღირებულება

|                         |   |
|-------------------------|---|
| 31 დეკემბერი, 2023 წელი | 0 |
|-------------------------|---|

3.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ლარი

|           | 2023 წლის 31<br>დეკემბერი | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|-----------|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| -მარაგები | -                         | 56 935                    | -                         |
| -საქონელი | -                         | -                         | -                         |
| -საწვავი  | 2 913                     | 1 513                     | 761                       |

|                                         |              |               |              |
|-----------------------------------------|--------------|---------------|--------------|
| -დაუთავრებელი წარმოება                  | -            | -             | 4 475        |
| -სხვა მარაგები                          | 597          | -             | 281          |
|                                         |              |               |              |
| -სასაქონლო-მეტერიალური<br>ფასეულობა სულ | <b>3 510</b> | <b>58 448</b> | <b>5 517</b> |

### 3.8. დარიცხული მოთხოვნები

ლარი  
მოთხოვნები და წინასწარი გადახდები  
დებიტორულ დავალიანებებს გააჩნიათ შემდეგი სტრუქტურა:

|                                     | 2023 წელი      | 2022 წელი      | 2021 წელი      |
|-------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| დარიცხული მოთხოვნები                | 201 928        | 257 631        | 267 323        |
| წინასწარ გადახდილი ბიუჯეტის თანხები | 80 421         | -              | 24 576         |
| წინასწარ გადახდილი თანხები          | 751            | 698            | 10 395         |
|                                     | <b>283 100</b> | <b>258 329</b> | <b>302 294</b> |

მათი შემოსავალი აღიარებული იყო დარიცხვის მეთოდით.  
დარიცხული მოთხოვნების ნაშთი არის მოკლევადიანი მოთხოვნები და მიჩნეულია დაახლოებით  
გონივრულ რეალურ ღირებულებად.

### 3.9 კლიენტებზე გაცემული სესხები

| კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს; | 2023 წელი        | 2022 წელი        | 2021 წელი        |
|--------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები     | 6 193 105        | 6 292 110        | 6 326 830        |
| კერძო საწარმოზე გაცემული სესხები     | 23 640           | 23 640           | 23 640           |
|                                      | <b>6 216 745</b> | <b>6 315 750</b> | <b>6 350 470</b> |

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო  
რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასებების  
პარამეტრების ინსტრუქციები. მიღებული უზრუნველყოფის საგნის ძირითადი ტიპები არის  
ძვირფასი ქვები და ლითონები.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს . თვალყურს ადევნებს სესხის გაუფასურების ადეკვატურობის გადახედვას, მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

### 3.10. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშები

| ლარი                | 2023 წელი     | 2022წელი      | 2021 წელი     |
|---------------------|---------------|---------------|---------------|
| საბანკო ანგარიშები  | 6 229         | 59 842        | 5 040         |
| ნაღდი ფული სალაროში | 120 915       | 120 240       | 343 662       |
|                     | <hr/> 127 144 | <hr/> 180 082 | <hr/> 348 702 |

### 3.11 კაპიტალი

2021 წელს საკუთარი კაპიტალი შეადგენდა 2 126 511 ლარს, ხოლო 2022 წელს კაპიტალის მოცულობა შემცირდა და შეადგინა 1 746 875 ლარი. 2023 წელს საკუთარი კაპიტალი განისაზღვრა 1 743 629 ლარის ოდენობით.

### 3.12 ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

|                                             | 2023 წელი   | 2022 წელი   | 2021 წელი   |
|---------------------------------------------|-------------|-------------|-------------|
| ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 2 424       | 6 997       | 2 692       |
|                                             | <hr/> 2 424 | <hr/> 6 997 | <hr/> 2 692 |

### 3.13 ვალდებულებები ბანკების და დამფუძნებლის მიმართ

|                             | 2023 წელი       | 2022 წელი       | 2021 წელი       |
|-----------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| ვალდებულებები ბანკის წინაშე | 5 036 132       | 5 168 449       | 5 029 806       |
| დამფუძნებლის სესხი          | 31 163          | 92 779          | 56 885          |
|                             | <hr/> 5 067 295 | <hr/> 5 261 228 | <hr/> 5 086 691 |

### 3.14 საგადასახადო ვალდებულება

|                            | 2023 წელი      | 2022 წელი | 2021 წელი      |
|----------------------------|----------------|-----------|----------------|
| საგადასახადო ვალდებულებები | (80 421)       | -         | (24 576)       |
|                            | <hr/> (80 421) | <hr/> -   | <hr/> (24 576) |

### 3.15 ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ოთხი ოფისი სერვისცენტრებისთვის. ამ იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ვადის გაგრძელება ხორციელდება ავტომატურად, ამავე ვადებში გათვალისწინებულია საიჯარო გადასახადების გადახდა.

|                                                                                                                   | 2023 წელი | 2022 წელი | 2021 წელი |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|-----------|
| ჩვეულებრივი იჯარით<br>გათვალისწინებული<br>საიჯარო გადასახდელები,<br>რომლებიც მიმდინარე<br>წელს აღიარებულია ხარჯად | (37 149)  | (57 107)  | (51 366)  |

---

(37 149)

---

(57 107)

---

(51 366 )

3.16 ადმინისტრაციის ხარჯები

|                                  | 2023 წელი     | 2022 წელი     | ლარი<br>2021 წელი |
|----------------------------------|---------------|---------------|-------------------|
| თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება | 364 973       | 339 336       | 310 571           |
| კომუნალური ხარჯები               | 13 876        | 14 896        | 16 027            |
| ცვეთა და ამორტიზაცია             | 34 496        | 34 141        | 33 093            |
|                                  | <hr/> 413 345 | <hr/> 388 373 | <hr/> 359 691     |

3.17 არასაოპერაციო ხარჯები

|                                                                  | 2023 წელი      | 2022 წელი   | ლარი<br>2021 წელი |
|------------------------------------------------------------------|----------------|-------------|-------------------|
| მატერიალური დახმარება<br>სხვა დანარჩენი არასაოპერაციო<br>ხარჯები | (2549)         | (200)       | (33 250)          |
|                                                                  | <hr/> ( 2 549) | <hr/> (200) | <hr/> (33 250)    |

#### 4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას. ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა. ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე სიტუაციას.

#### 5. ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებები. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების მიმდინარე ღირებულებებისგან, თუ აქტივების მიმდინარე ღირებულება განსხვავდება ამ შეფასებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

#### 6. უიმედო სესხები

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისაგან.

#### 7. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

კომპანიის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია სესხების გაცემასთან. კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს მოზიდული სახსრების მიზანმიმართულ დაბანდებას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. სესხის გამცემი სუბიექტი ამასთანავე რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, რომ შეინარჩუნოს კლიენტების წინაშე არსებული ვალდებულებები. კომპანია სრულად აკმაყოფილებს სებ-ის მოთხოვნებს.

#### 8. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

კომპანიის დაძვრუძეებელი არის კერძო პირი. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგებს სესხების გაცემა ძვირფასი ქვების და ლითონების უზრუნველყოფით. უზრუნველყოფის წარმოდგენის საჭიროებას და უზრუნველყოფის სახეს სესხის გამცემი სუბიექტი სასესხო პროდუქტისა და შიდა პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრავს. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მდგრადია. საწარმო ფუნქციონირებადია და მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას.

## 9. ფინანსური ინსტრუმენტები

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანია სააღრიცხვი პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც შემოსავლების თუ ხარჯების აღიარება ხდება თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად.

## 10. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

### ფინანსური აქტივები

| ლარი                                     | 2023 წელი | 2022 წელი | 2021 წელი |
|------------------------------------------|-----------|-----------|-----------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 201 928   | 257 631   | 267 323   |
| წინასწარ გადახდილი ბიუჯეტის გადასახადი   | -         | -         | 24 576    |
| წინასწარ გადახდილი თანხები               | 751       | 698       | 10 395    |
| საბანკო ანგარიშები                       | 6 229     | 59 842    | 5 040     |
| ნაღდი ფული საღაროში                      | 120 915   | 120 240   | 343 662   |

329 823

438 411

650 996

## ფინანსური ვალდებულებები

| ლარი                                           | 2023 წელი | 2022 წელი | 2021 წელი |
|------------------------------------------------|-----------|-----------|-----------|
| ვალდებულებები მოწოდებიდან<br>და მომსახურებიდან | 2 424     | 6 996     | 2 692     |
| საგადასახადო ვალდებულებები                     | -         | -         | -         |
|                                                | 2 424     | 6 996     | 2 692     |

### 11. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების, ფულადი ნაკადების დინამიკა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვალავს იმის გამო, რომ საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორცაა საპროცენტი განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი.

### 12. საკრედიტო რისკები

გაცემული სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ მოხდა თუ არა ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაგადაცემა 30 დღეზე მეტი ვადით. გარდა ამისა, ყურადღება ექცევა რაიმე სახის მიმდინარე სირთულეს კონტრაგენტის ფულადი სახსრების მიმოქცევაში, კრედიტუნარიანობის გაუარესების და ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტს. გაუფასურებული სესხების შეფასებას კომპანია ახორციელებს ინდივიდუალურად. კომპანიამ შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორის უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. საკრედიტო რეიტინგის



გადახდვის პროცესი კომპანიას საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პროცენტული ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

### 13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა .მისი გამოქვეყნების ნებართვა გასცა საწარმოს დირექტორმა 2024 წლის 27 სექტემბერი.